გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება - დაინტერესებული მხარეები საქართველოში

შესავალი

დოკუმენტი „გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება - დაინტერესებული მხარეები საქართველოში“ ცდილობს, სამაგიდე კვლევის დახმარებით, თავი მოუყაროს იმ დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროში მუშაობენ.

დაინტერესებულ მხარეთა სიაში მოხვდნენ სახელმწიფო დაწესებულებები, ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, ფონდები, კვლევითი ორგანიზაციები, აკადემია (მეცნიერები და მკვლევრები), აქტივისტური ჯგუფები და კერძო სექტორის ასოციაციები და კომპანიები..

ყველა დაინტერესებული მხარისთვის მოცემულია:

ა) კომპანიის/ორგანიზაციის/დაწესებულების სახელი ქართულად და ინგლისურად.
ბ) კატეგორია (არასამთავრობო ორგანიზაცია, აკადემია, სხვ.) და საქმიანობის მასშტაბი (საერთაშორისო, რეგიონული, ადგილობრივი).
გ) საქმიანობის მოკლე აღწერა და სამუშაო სფერო.
დ) საკონტაქტო ინფორმაცია: ვებსაიტის მისამართი, ან სოციალური მედიის ბმული. ინტერნეტსივრცეში არყოფნის შემთხვევაში, მითითებულია ფიზიკური მისამართი ან ორგანიზაციისა თუ დაწესებულების ტელეფონის ნომერი.

ეს დოკუმენტი სასარგებლო უნდა იყოს იმ ქართველი ჟურნალისტებისთვის, ვინც ახლა იწყებენ მუშაობას კლიმატის ცვლილებისა და გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქებაზე. ამასთან, დაინტერესებულ პირთა ნუსხა სასარგებლო ინფორმაციას შეიცავს უცხოელი ჟურნალისტებისა და მკვლევრებისთვის, ვინც ქართულ ინსტიტუციურ გარემოს შეისწავლიან გარემოსდაცვით და კლიმატის ცვლილების დარგში.

დაინტერესებული მხარის საქმიანობის აღწერა ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, რომელსაც ორგანიზაციები და დაწესებულებები საკუთარ ვებსაიტზე აქვეყნებენ, ან სამართლებრივ დოკუმენტაციაში მითითებულ ცნობებს.

შენიშვნა: დაინტერესებულ მხარეთა ეს ჯგუფები ხშირად განსხვავებულ პოზიციას გამოხატავენ და ერთმანეთისგან განსხვავებული ღირებულებები აქვთ, რომელთა დაახლოებაც ზოგჯერ რთულია.

სახელმწიფო დაწესებულებები

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia

სამინისტროს მართვის სფეროში შედის გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება, სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება.

ვებსაიტი: https://mepa.gov.ge/

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL National Environmental Agency

სააგენტოს ძირითადი მიზანია შექმნას და გამართოს სისტემები მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური და გეოლოგიური პროცესების მონიტორინგისთვის, ისევე როგორც გარემოს (ატმოსფერული ჰაერის, მიწისზედა და მიწისქვეშა წყლის, ზღვის და ნიადაგის) ხარისხის გასაკონტროლებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

ვებსაიტი: https://nea.gov.ge/

სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო
LEPL National Agency for sustainable land management and land use monitoring

სააგენტოს ფუნქციებში შედის მიწის რეესტრის შექმნა, სასოფლო-სამეურნეო მიწის დარეგისტრირება და შესაბამისი ინტეგრირებული მონაცემთა ბაზის მართვა, მიწათსარგებლობის მონიტორინგი და რელევანტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ვებსაიტი: https://land.gov.ge/

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
LEPL National Forestry Agency

სააგენტოს ძირითადი მიზნებია ტყეების მართვა და ტყის აღდგენა, ტყის ბიომრავალფეროვნების მდგრადი ათვისება.

ვებსაიტი: https://forestry.gov.ge/

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
LEPL Agency of Protected Areas

სააგენტოს ძირითადი პასუხისმგებლობა საქართველოს ეროვნული პარკების, ნაკრძალების, ბუნების ძეგლების, დაცული ლანდშაფტების, აღკვეთილების, ბიოსფერული რეზერვატების, მსოფლიო მემკვიდ-რეობის ძეგლების და საერთაშორისოდ მნიშვნელოვანი ჭარბტენიანი ტერიტორიების მართვაა.

ვებსაიტი: https://apa.gov.ge/

სსიპ სოფლის განვითარების სააგენტო
LEPL Rural Development Agency

სააგენტო ცდილობს შექმნას კეთილდღეობა სოფლად. მისი ფუნქცია ქალაქსა და სოფელს შორის ძლიერი ხიდების აგებაა.

ვებსაიტი: https://rda.gov.ge/

სსიპ ველური ბუნების დაცვის სააგენტო
LEPL Agency of Wildlife

სააგენტოს ძირითადი პასუხისმგებლობა ველური ბუნების მართვა და სახეობებისა და ჰაბიტატების მონიტორინგია.

ვებსაიტი: http://wla.gov.ge/

სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო
LEPL Agency of Nuclear and Radiation Safety

სააგენტოს მიზანი ადამიანის ჯანმრთელობის და ბუნების რადიაციისგან დაცვაა.

ვებსაიტი: http://anrs.gov.ge/

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL National Food Agency

სურსათის ეროვნული სააგენტო აკონტროლებს საკვების ხარისხს და უზრუნველყოფს ჰიგიენური, ვეტერინარულ-სანიტარული და ფიტოსანიტარული წესებისა და მოთხოვნების სახელმწიფო ზედამხედველობას.

ვებსაიტი: https://nfa.gov.ge/

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო
LEPL National Wine Agency

სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია ღვინის წარმოების ხარისხის კონტროლი და სერთიფიცირება, ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება.

ვებსაიტი: https://wine.gov.ge/

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია
LEPL State Laboratory of Agriculture of Georgia

ლაბორატორიის საქმიანობის სფერო დიაგნოსტიკის ერთიან ციკლს მოიცავს, რომელშიც შედის როგორც ცხოველთა და მცენარეთა ლაბორატორიული კვლევა, ასევე სურსათის უვნებლობის ექსპერტიზა.

ვებსაიტი: http://sla.gov.ge/

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი
LEPL Scientific-Research Center of Agriculture

სააგენტო მხარს უჭერს სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებას და საკვების წარმოებას; ტექნოლოგიის კვლევას და დანერგვას.

ვებსაიტი: https://srca.gov.ge/

სსი გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
LEPL Environmental Information and Education Centre

ცენტრი მხარს უჭერს გარემოსდაცვით და სასოფლო-სამეურნეო განათლებას საქართველოში, საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი და სასოფლო-სამეურნეო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

ვებსაიტი: https://eiec.gov.ge/

შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია
LTD Agricultural Logistic and Service Company

შპს "სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის" საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: სასოფლო სამეურნეო ტექნიკით მომსახურება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა და ფერმერთა ინფორმაციით უზრუნველყოფა, კონსულტაციების გაწევა, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში, ნიადაგის თესვისწინა და შემდგომი სამუშაოების ჩატარება.

ვებსაიტი: http://www.alsc.ge/

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
The State Sub-Agency Department of Environmental Supervision

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს სახელმწიფო ზედამხედველობას გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სექტორში.

ვებსაიტი: https://des.gov.ge/

შპს საქართველოს მელიორაცია
LTD Georgian Amelioration

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი შპს „საქართველოს მელიორაცია" ატარებს რეაბილიტაციის სამუშაოებს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ისეთ ობიექტებზე, რომლებზეც სამუშაოები რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში არ ჩატარებულა. ამასთან, კომპანია ირიგაციისა და დრენაჟის სერვისების ერთადერთი მიმწოდებელია ქვეყანაში.

ვებსაიტი: https://ag.ge

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო
Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia

სამინისტროს მართვის სფეროებში შედის ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკური ზრდის ანალიზი, მდგრადი განვითარება, ვაჭრობა, ინვესტიციები, სახელმწიფო პოლიტიკა და დარგობრივი პოლიტიკა ენერგეტიკის, ტურიზმის, ტრანსპორტის, სამშენებლო და ურბანული განვითარების სექტორებში.

ვებსაიტი: http://economy.ge/

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო
LEPL Technical and Construction Supervision Agency

სააგენტო მართავს და ზედამხედველობს განსაკუთრებული საფრთხის შემცველ სახელმწიფო ნაგებობებს და პასუხისმგებელია განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობების მშენებლობის ნებართვის გაცემაზე (რადიაციული/ბირთვული ნაგებობების/სადგურების ჩათვლით).

ვებსაიტი: http://tacsa.gov.ge/

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
LEPL Georgian National Tourism Administration

ადმინისტრაციის ძირითადი მიზნები ტურიზმის მდგრადი განვითარება და საქართველოს, როგორც უნიკალური ტურისტული დანიშნულების, საერთაშორისო ცნობადობის გაზრდაა.

ვებსაიტი: https://gnta.ge/

შპს მთის ტრასების სააგენტო
LTD Mountain Tracks Agency mta

სახელმწიფო კომპანია „მთის ტრასების სააგენტო“ საქართველოს სამთო კურორტებს ავითარებს და მართავს.

Facebook: https://www.facebook.com/MountainTrailsAgency

სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
LEPL Land Transport Agency

სააგენტო უზრუნველყოფს სახმელეთო ტრანსპორტის დარგში მასზე დელეგირებული ფუნქციების განხორციელებას. სააგენტო ამზადებს რეგულაციების პროექტებს და პასუხისმგებელია ტექნიკური რეგულაციების კონტროლსა და ზედამხედველობაზე.

ვებსაიტი: http://lta.gov.ge/

სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
LEPL Georgian National Agency for Standards and Metrology

სააგენტო პასუხისმგებელია ეროვნულ სტანდარტიზაციასა და მეტროლოგიაზე და მონაწილეობს სამართლებრივი და ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებაში ამ მიმართულებებით; ქმნის მეთოდოლოგიურ რეგულაციებს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის დარგებში.

ვებსაიტი: https://geostm.ge/

სსიპ საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
LEPL Maritime Transport agency MTA

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“ წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ საზღვაო ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საზღვაო სფეროს ორგანიზაციული და სამართლებრივი ინსტრუმენტების ეფექტურ დანერგვას ეროვნული და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად.

ვებსაიტი: http://mta.gov.ge/

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო
LEPL The National Agency of Mines

სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო“ პასუხისმგებელია მოთხოვნებსა და ვალდებულებებზე, რომელიც უკავშირდება მინერალური რესურსების მართვას და მოსაკრებელს. ამასთან, სააგენტო მართავს წიაღისეულთან დაკავშირებულ ლიცენზიებს და აკონტროლებს სალიცენზიო პირობების შესრულებას.

ვებსაიტი: https://nam.gov.ge/

სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური
LEPL State Hydrographic Service of Georgia SHSG

„საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“ საქართველოში სანავიგაციო გაფრთხილებების ეროვნული კოორდინატორია. მის შემადგენლობაში შედის საქართველოს სანაპირო ზოლზე განლაგებული სანავიგაციო მოწყობილობათა სისტემები, მნათი და არამნათი სანავიგაციო ნიშნები და ღია ზღვაში განლაგებული კარდინალური და ლატერალური ნიშნები, რომლებიც მცურავი საშუალებების უსაფრთხო ნავიგაციას უზრუნველყოფენ.

ვებსაიტი: http://hydrography.ge/

სსიპ ნავთობის და გაზის სააგენტო
LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS

სსიპ „ნავთობის და გაზის სააგენტო“ პასუხისმგებელია ბუნებრივ გაზსა და ნავთობთან დაკავშირებული საქმიანობის რეგულაციაზე, ისევე როგორც ნავთობისა და გაზის დამუშავებასა და მათ ტრანსპორტირებაზე საქართველოში.

Facebook: https://www.facebook.com/StateAgencyofOilandGas/

სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი
JSC “Georgian Energy Development Fund”

სააქციო საზოგადოება „ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დააარსა. ფონდის ძირითადი ამოცანაა განახლებადი ენერგიის წყაროების პერსპექტიული პროექტების მოძიება და განვითარების ხელშეწყობა.

ვებსაიტი: https://gedf.com.ge/

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

სამინისტროს მართვის სფეროში შედის რეგიონული განვითარება, წყალმომარაგება, მყარი ნარჩენები და ნაგავსაყრელთა მართვა. ამასთან, სამინისტრო პასუხისმგებელია საქართველოს ჩქაროსნული ავტომაგისტრალების სისტემაზე.

ვებსაიტი: https://mrdi.gov.ge

შ.პ.ს. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
LTD United Water Supply Company of Georgia (UWSCG)

„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (UWSCG) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: წყლის მომარაგება, დამუშავება და მიწოდება მომხმარებლებისთვის; წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების პროექტირება, მშენებლობა, ოპერირება და მართვა.

ვებსაიტი: http://water.gov.ge/

შ.პ.ს. საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია
LTD solid waste management company of Georgia

„საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მთავარი ამოცანებია: ძველი პოლიგონებისა და ნაგავსაყრელების მოწესრიგება, განახლება და, საჭიროების შემთხვევაში, დახურვა, გადამტვირთი სადგურების მოწყობა, ახალი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელების აშენება და, შესაბამისად, ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის ეტაპობრივად დანერგვა.

ვებსაიტი: http://waste.gov.ge/ka/

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
LEPL The Municipal Development Fund of Georgia (MDF)

ფონდი ახორციელებს ისეთ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებს, როგორებიცაა: ქალაქების ურბანული განახლება, ტურისტული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ინფრასტრუქტურის მოწყობა, სტიქიის პრევენციის მიზნით, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის მყარი ეკონომიკური ბაზის შექმნა და სხვა.

ვებსაიტი: http://mdf.org.ge/

სს საპარტნიორო ფონდი
JSC Partnership Fund

სს „საპარტნიორო ფონდი“ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საინვესტიციო ფონდია. „საპარტნიორო ფონდი" შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე.

ვებსაიტი: https://www.fund.ge/

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
JSC Georgian Oil and Gas Corporation

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ დივერსიფიცირებული კომპანიაა, ბიზნეს საქმიანობით, ენერგეტიკის სხვადასხვა სეგმენტში. მას მინიჭებული აქვს ნავთობის ეროვნული კომპანიის სტატუსი და იცავს სახელმწიფოს ინტერესებს ინვესტორებთან გაფორმებულ პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებებში.

ვებსაიტი: https://www.gogc.ge/

სს საქართველოს რკინიგზა
JSC Georgian Railway

სს „საქართველოს რკინიგზა“ საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიაა, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი საქართველოს საპარტნიორო ფონდია. კომპანია შედგება სამი ბიზნესერთეულისგან: ინფრასტრუქტურა, სატვირთო და სამგზავრო.

ვებსაიტი: https://railway.ge/

თბილისის მერია
Tbilisi City Hall

თბილისის მერია (თბილის მერი, თბილისის მთავრობა, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულები, გამგეობები) მოიცავს ქალაქის აღმასრულებელი ორგანოების სისტემას და ასრულებს ადმინისტრაციულ და აღმასრულებელ ფუნქციებს.

ვებსაიტი: https://tbilisi.gov.ge/

თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური
Municipal Department of Environment Protection

დეპარტამენტში შედის ოთხი სტრუქტურული ერთეული: სატყეო პოლიტიკის განყოფილება, ნებართვებისა და მონიტორინგის განყოფილება, გარემოსდაცვითი მართვის განყოფილება და მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების განყოფილება.

Facebook: https://www.facebook.com/MunicipalServiceforEnvironmentalProtection/

ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური
Municipal Department for Infrastructure Development

დეპარტამენტი პასუხისმგებელია ქალაქის ინფრასტრუქტურასა და აღდგენაზე.

Facebook: https://www.facebook.com/tbilisi.municipal.improvements.service/

სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
LEPL Transport Development Agency

„ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ მიზანია ქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობა, შესაბამისი ანალიზის და კვლევების წარმოება, ისევე როგორც თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის მართვა.

Facebook: https://www.facebook.com/TbilisiTransportandUrbanDevelopmentAgency/

თბილისის საკრებულო
Tbilisi City Municipal Assembly

თბილისის საკრებულო ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოა.

ვებსაიტი: http://tbsakrebulo.gov.ge/

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
The Government of the Autonomous Republic of Ajara

მთავრობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების უზენაესი ორგანოა, რომელიც მართავს და უზრუნველყოფს აღმასრულებელ უფლებამოსილებას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ვებსაიტი: http://adjara.gov.ge/

სს აჭარის წყლის ალიანსი
Ajara Water Alliance (AWA)

სს „აჭარის წყლის ალიანსი“ მუნიციპალიტეტების და აჭარის მთავრობის მფლობელობაშია. „აჭარის წყლის ალიანსს“ ეხმარება ორი საკონსულტაციო კომპანია, რომელთაგან ერთი მუშაობს დაბების საინვესტიციო პროგრამებზე და მეორე სოფლებში. მეორე კომპანია ასევე უზრუნველყოფს გადასამზადებელ ტრენინგებს „აჭარის წყლის ალიანსის“ აჭარის მუნიციპალიტეტებისა და სოფლის მომხმარებელთა ჯგუფებისთვის.

ვებსაიტი: https://awa.ge/

ქალაქ ბათუმის მერია
Batumi City Hall

ბათუმის მერია პასუხისმგებელია ქალაქის პოლიტიკის და დარგობრივი სტრატეგიების შემუშავებასა და აღსრულებაზე.

ვებსაიტი: https://batumi.ge/

სსიპ ბათუმის ბულვარი
LEPL Batumi Boulevard

‘ბათუმის ბულვარი’ ახორციელებს მის სარგებლობაში არსებული ქონების მართვასა და მოვლა-პატრონობას, ახორციელებს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის საჭირო და აუცილებელ ღონისძიებებს, ვიზიტორებისათვის ქმნის დასვენებისა და ტურიზმის ხელსაყრელ გარემოს და ატარებს მწვანე ნარგავების მოვლის, აღდგენის და განახლების სამუშაოებს ბულვარის ტერიტორიაზე.

ვებსაიტი: https://boulevard.gov.ge/

შპს შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
LTD Black Sea Flora and Fauna Educational Scientific-Research Center

კვლევითი ცენტრის ძირითადი მიზანი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში მნიშვნელოვანი ადგილის მოპოვებაა. ეს გულისხმობს შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის კვლევას, სტუდენტებისათვის სასწავ-ლო–კვლევითი ბაზის გაუმჯობესებასა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებაში ხელშეწყობას.

ვებსაიტი: https://dolphinarium.ge/

შპს ბათუმის წყალი
LTD Batumi Water

წყლის მიწოდებისა და საკანალიზაციო სერვისი ბათუმში

ვებსაიტი: http://web.bats.ge/

ააიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი
Batumi Botanical Garden

ბათუმის ბოტანიკური ბაღის მისიაა ხელი შეუწყოს მცენარეთა კოლექციის ბაღში თავმოყრას, მის დოკუმენტირებას და გამოყენებას სამეცნიერო, საგანმანათლებლო და შემეცნებითი მიზნებით, უზრუნ-ველყოს საფრთხის წინაშე მყოფ მცენარეთა კონსერვაცია, დაცვა და შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის

ვებსაიტი: http://bbg.ge/

ბათუმის საკრებულო
Batumi Municipality City Council

ბათუმის საკრებულო უზრუნველყოფს ქალაქის თვითმმართველობას და, შესაბამისი სამართლებრივი ჩარ-ჩოს ფარგლებში, ზედამხედველობს ბათუმის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას.

ვებსაიტი: http://batumicc.ge/

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი
Municipality of the Poti City

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაში შედის ქონების მართვა და განკარგვა, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების, მათ შორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წყლის, ტყის და მიწის რესურსების მართვა, ნარჩენების მართვა და სამშენებლო ნებართვის გაცემა.

ვებსაიტი: https://poti.gov.ge/ | Poti City Hall Facebook: https://ka-ge.facebook.com/poti.gov.ge/

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი
Municipality of the Kutaisi City

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაში შედის ქონების მართვა და განკარგვა, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების, მათ შორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წყლის, ტყის და მიწის რესურსების მართვა, ნარჩენების მართვა და სამშენებლო ნებართვის გაცემა.

ვებსაიტი: http://kutaisi.gov.ge/ | Kutaisi City Hall Facebook: https://www.facebook.com/CityHallofKutaisi/

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი
Municipality of Rustavi City

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაში შედის ქონების მართვა და განკარგვა, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების, მათ შორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წყლის, ტყის და მიწის რესურსების მართვა, ნარჩენების მართვა და სამშენებლო ნებართვის გაცემა.

ვებსაიტი: https://rustavi.gov.ge/ | Rustavi City Hall Facebook: https://www.facebook.com/RustaviCityHall/

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები

მწვანე ალტერნატივა
Green Alternative

„მწვანე ალტერნატივა“ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა. მისი თემატური პრიორიტეტებია: ენერგეტიკა, ექსტრაქტივისტული ინდუსტრია, კლიმატის ცვლილება, ტრანსპორტი და გარემო, პრივატიზაცია და გარემო, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ნარჩენების მართვა, წყლის რესურსების მართვა. ერთმანეთთან დაკავშირებული პრიორიტეტული მიმართულებებია: გარემოსდაცვითი მართვა, წვდომა საჯარო ინფორმაციაზე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და სამართლიანობა, გარემოს-დაცვითი მართვისა და მდგრადი განვითარების ინსტრუმენტები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის მონიტორინგი და საერთაშორისო ფინანსების მიმოქცევა საქართველოში.

ვებსაიტი: https://greenalt.org/

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
Social Justice Center

„სოციალური სამართლიანობის ცენტრი“ მემარცხენე ორგანიზაციაა, რომელიც ადამიანის უფლებებისა და სოციალურ სამართლიანობის მიმართულებებით საქმიანობს. ორგანიზაცია მუშაობს სოციალურ და თანასწორობის პოლიტიკაზე, სასამართლო სისტემასა და დემოკრატიის საკითხებზე.

ვებსაიტი: https://socialjustice.org.ge/

საბუკო
Sabuko Society for Nature Conservation

„საბუკო“ („საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის“) ბუნებისდამცველი არასამთავრობო ორგანიზაციაა საქართველოში. მისი მიზანია საქართველოს ველური ბუნების დაცვა, კონსერვაცია და აღდგენა. „საბუკო“ ახორციელებს სახეობებისა და ეკოსისტემების მონიტორინგს, იღებს ზომებს კონსერვაციისთვის და აწარმოებს ცნობიერების ამაღლების კამპანიებს.

ვებსაიტი: https://sabuko.org/

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
World Experience for Georgia (WEG)

„მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ არაკომერციული ანალიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც ენერგეტიკულ უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ მდგრადობაზე მუშაობს. მის საქმიანობაში შედის კვლევა, ანალიზი და რეცენზირება, განათლება და კონსალტინგი.

ვებსაიტი: http://weg.ge/

ქლაიმათ ბეიზიქსი
Climate Basics

„ქლაიმათ ბეიზიქს“ არაკომერციული ანალიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც ახორციელებს ანალიტიკურ, საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების საქმიანობას კლიმატის ცვლილებასა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის შესახებ. ამასთან, ის არის საინფორმაციო პლატფორმა და მხარს უჭერს რეგიონულ და საერთაშორისო თანამშრომლობას.

ვებსაიტი: https://en.climatebasics.info/

მდგრადი განვითარების ცენტრი რემისია
Sustainable Development Center "Remissia"

„რემისია“ არაკომერციული ანალიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც კლიმატის ცვლილებასა და კლიმატის მოდელირებაზე ფოკუსირდება. „რემისია“ მონაწილეობს პოლიტიკის განსაზღვრაში, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების მომზადებასა და განხორციელებაში ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების, რეგიონებისა და მუნიციპალიტეტებისთვის.

ვებსაიტი: https://remissia.ge/

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
The Green Movement of Georgia–Friends of the Earth-Georgia

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“ თვითმმართველი სოციალური ორგანიზაციაა, რომელიც მიზნად ისახავს ბუნების დაცვას და მდგრადი განვითარების მხარდაჭერას.

ვებსაიტი: https://greens.ge/

GEO - Georgia’s Environmental Outlook

Georgia's Environmental Outlook (GEO) არაკომერციული იურიდიული პირია, რომელიც მხარს უჭერს ეფექტიან გარემოსდაცვითი მმართველობას და ინკლუზიურ მდგრად განვითარებას. ამასთან, ის ხელს უწყობს გარემოსდაცვით გამოწვევებთან გამკლავების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას საქართველოში.

ვებსაიტი: https://geo.org.ge/

სოფლად თემთა განვითარების სააგენტო
Rural Community Development Agency (RCDA)

სოფლად თემთა განვითარების სააგენტოს მიზანია დაიცვას და ხელი შეუწყოს თემის თითოეული წევრის უფლებებისა და ღირებულებების დაცვას, განავითაროს და გააძლიეროს სამოქალაქო ჯგუფები სოფლად და მხარი დაუჭიროს სოფლად მცხოვრებ ღარიბ მოსახლეობას, დევნილებს, მიგრანტებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, ადგილობრივ მმართველობას, კერძო სექტორს და სხვა არასამთავრობო/თემზე დაფუძნებულ ორგანიზაციებს.

Facebook: https://www.facebook.com/rcda.ge/

ეკო ცენტრი
Eco Center

ეკო ცენტრი გარემოსდაცვითი სამოქალაქო ორგანიზაციაა. ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობა რუსთავში ჰაერის დაბინძურების პრობლემაზეა ფოკუსირებული.

ვებსაიტი: https://ecocentre.ge/

გურიის სათემო ცენტრი
Guria Civic Center

„გურიის სამოქალაქო ცენტრი“ საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც მუშაობს გარემოს დაცვის, მდგრადი ურბანული განვითარების, საზოგადოებრივი სივრცეების დაცვის და განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდის მიმართულებით.

ვებსაიტი: http://civicguria.ge/

პლატფორმა სალამ
Salam Platform

პლატფორმა „სალამი“ საქართველოს ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციაა. ორგანიზაცია ეხმარება თემებს მათი საჭიროებების გარშემო ორგანიზებასა და ადვოკატირებაში.

Facebook: https://www.facebook.com/SalamPlatform/

კავშირი მდგრადი განვითარებისათვის – ეკოხედვა
Union for Sustainable Development ECOVISION

„კავშირი მდგრადი განვითარებისათვის – ეკოხედვა“ არაკომერციული არასამთავრობო ორგანიზაციაა. „ეკოხედვამ“ განახორციელა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერილი 100-ზე მეტი პროექტი გარემოს დაცვის, ენერგეტიკის, ბუნების დაცვის, გარემოსდაცვითი განათლების და მდგრადი განვითარების მიმართულებით.

ვებსაიტი: https://ecovision.ge/

იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი სპექტრი
The Imertei Science Union Spectri

„იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი სპექტრი“ არაკომერციული არასამთავრობო ორგანიზაციაა. მისი საქმიანობის სფეროებია განათლება და მეცნიერება, გარემო, ნარჩენების მართვა, ენერგოეფექტურობა, სოციალური დაცვა, ჯანდაცვა და მცირე ბიზნესის განვითარება.

ვებსაიტი: https://spectri.org.ge/

ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი
Tkibuli District Development Fund TDD

„ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ემსახურება ტყიბულს და მის სოფლებს. ორგანიზაცია ცდილობს გააუმჯობესოს ტყიბულის მაცხოვრებელთა სოციალური ინკლუზია.

Facebook: https://www.facebook.com/TDDFund/

მწვანეები
The Greens

„მწვანეები“ მემარცხენე-ცენტრისტული, ფემინისტური ქვიარ პარტიაა, რომელიც დაფუძნდა 2022 წელს.

ვებსაიტი: https://mtsvaneebi.ge/

პროფკავშირი

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
The Georgian Trade Unions Confederation (GTUC)

„საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება“ არაკომერციული იურიდიული პირია, რომელიც 21 დარგობრივ პროფკავშირს და 150,000 წევრს აერთიანებს.

ვებსაიტი: https://gtuc.ge/

ლაბორ
Labor

საქართველოს აგრარულ მეურნეობაში, ვაჭრობასა და მრეწველობაში დასაქმებულთა პროფესიული კავშირი დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომლის საწესდებო ვალდებულებას წარმოადგენს პროფკავშირის წევრთა და დასაქმებულთა შრომით-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური უფლება-ინტერესების დაცვა და წარმოდგენა.

ვებსაიტი: http://www.lbr.ge/

სოლიდარობის ქსელი
Solidarity Network

ჯანდაცვისა და მომსახურების სფეროების პროფკავშირი

ვებსაიტი: http://solnet.ge/

პროფკავშირების ახალი გაერთიანება
New Confederation – NCIU

ვებსაიტი: https://www.gaertianeba.ge/

აქტივისტური მოძრაობები და ინიციატივები

გავიგუდეთ
Gavigudet

„გავიგუდეთ“ აქტივისტური მოძრაობაა, რომელიც რუსთავში ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად იბრძვის.

ვებსაიტი: https://gavigudet.org/

რიონის ხეობის გადარჩენისთვის
The Rioni Valley movement

„რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ მასშტაბური ადგილობრივი მოძრაობაა საქართველოში. მოძრაობა დაიწყო დიდი კაშხლის, ნამახვანჰესის მშენებლობის წინააღმდეგ მდინარე რიონზე.

Facebook: https://www.facebook.com/rioniskheobisgadarchenistvis

დიღმის ჭალები
Dighomi Meadows

„დიღმის ჭალები“ უბნის ინიციატივაა, რომლის მიზანიც თბილისის ერთადერთი ჭალის ბიომრავალფეროვნების და ადგილობრივი ლანდშაფტის შენარჩუნება, აღდგენა და დაცვაა.

Facebook: https://www.facebook.com/Dighomimeadows/

გადავარჩინოთ გურიის მდინარეები
Save the Rivers of Guria

ადგილობრივი აქტივისტური ინიციატივა „გადავარჩინოთ გურიის მდინარეები“ იცავს გურიის მდინარეებს და ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებს.

ვებსაიტი: https://www.facebook.com/profile.php?id=100070206336044

მომავლის ჭიათურა
Chiatura of the Future

„მომავლის ჭიათურა“ აწყობს მედია კამპანიებს და აპროტესტებს ჭიათურის პრობლემებს.

Facebook: https://www.facebook.com/momavlischiatura

ჭიათურის ეკოლოგიური კლუბი
Eco Club Chiatura

„ჭიათურის ეკო კლუბი“ აქტივისტური საგანმანათლებლო და გარემოსდაცვითი პლატფორმაა ჭიათურაში.

Facebook: https://www.facebook.com/EcoClubChiatura/

იპოდრომი - უბეტონო მხარე
Hippodrome-Concrete Free Zone

„იპოდრომი - უბეტონო მხარე“ ადგილობრივი მოძრაობაა, რომელიც მას შემდეგ დაიწყო, რაც თბილისის მერიამ „თბილისის ცენტრალური პარკის“ პროექტი წარადგინა. საინიციატივო ჯგუფი არსებულ პროექტს უპირისპირდება და ალტერნატიული პროექტის შემუშავებას ითხოვს.

Facebook: https://www.facebook.com/hippodromecommunity

დაიცავი ბათუმის ბულვარი
Protect Batumi Boulevard

საზოგადოება „დაიცავი ბათუმის ბულვარი“ აპროტესტებდა შპს „ამბასადორი ბათუმის“ მიერ ძველ ბულვარში 16-სართულიანი სასტუმროს აშენების გეგმას.

Facebook: https://www.facebook.com/profile.php?id=100064515467159

სამართლიანი ენერგოპოლიტიკისთვის
Fair Energy Politics Collective

აქტივისტური კოლექტივი, რომელიც იბრძვის არა კერძო, არამედ საჯარო ინტერესზე დაფუძნებული ენერგოპოლიტიკისთვის.

Facebook: https://www.facebook.com/samartlianienergopolitikistvis

აკადემია/სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები და ინსტიტუტები

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
The Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-ს, რომელიც ხელს უწყობს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის განვითარებას საქართველოში.

ვებსაიტი: https://rustaveli.org.ge/

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
Georgian National Academy of Science

მეცნიერებათა აკადემია ატარებს „მთავრობის სამეცნიერო მრჩევლის“ სტატუსს. აკადემია ამზადებს საექსპერტო შეფასებებს სხვადასხვა სუბორდინაციის ქვეშ მყოფი სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. შექმნიდან, აკადემიის სისტემაში შედის 14 კვლევითი ინსტიტუტი.

ვებსაიტი: http://science.org.ge/

ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
T. Mirtskhulava Water Management Institute of the Georgian Technical University

„ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი“ სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციაა, რომელიც წყლის მართვისა და ირიგაციის საკითხებზე მუშაობს. ბუნებრივი კატასტროფების დეპარტამენტი სოფლის მეურნეობის ეკოსისტემების მდგრად განვითარებას ეთმობა, ისევე როგორც წყალდიდობის პროგნოზირებას და ღვარცოფის პრევენციის ზომების დანერგვას.

ვებსაიტი: http://www.wmi.ge/

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
Scientific Network for the Caucasus Mountain Region

„კავკასიის მთიანი რეგიონის სამეცნიერო ქსელი“ მკვლევრებისა და სხვა დაინტერესებული პირების ღია ქსელია, რომლის წევრთა საერთო ინტერესი აკადემიური თანამშრომლობაა დისციპლინარული, ინტერდისციპლინარული და ტრანსდისციპლინარული კვლევისთვის კავკასიის რეგიონის შესახებ.

ვებსაიტი: https://www.caucasus-mt.net/

დედამიწის შემსწავლელ მეცნეირებათა ინსტიტუტი
Institute of Earth Sciences

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის ძირითადი მიზანია ქვეყანაში დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განვითარება, ამ მიმართულებით კვლევის თანამედროვე მეთოდების დანერგვა. თანამედროვე ტექნოლოგიების: როგორც აპარატურული, ასევე სამეცნიერო შექმნა და ათვისება. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების კვლევებზე დამოკიდებულია ადამიანის სასიცოცხლო გარემოს მრავალი სფერო, რაც პირდაპირ კავშირშია საქართველოს მდგრად განვითარებასთან.

ვებსაიტი: https://ies.iliauni.edu.ge/

ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი
A. Janelidze Institute of Geology

გეოლოგიის ინსტიტუტში კვლევები მიმდინარეობს გეოლოგიური მეცნიერების თითქმის ყველა მიმართულებით, ძირითადად, თანამედროვე გეოლოგიური თეორიის ფილების ტექტონიკის საფუძველზე.

ვებსაიტი: https://ajig.ge/ka

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
The Institute of Hydrometeorology

ინსტიტუტი ატარებს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევას მეტეოროლოგიის (ატმოსფერული ფიზიკა), აგრო-მეტეოროლოგიის, ჰიდროლოგიის (ჰიდროსფეროს ფიზიკა), კლიმატისა და მისი ცვლილების, გარემოსდაცვითი დაბინძურების, განახლებადი ენერგიებისა და რესურსების, საფრთხისშემცველი და კატასტროფული ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების და შერბილება/პრევენციის ზომების შესახებ.

ვებსაიტი: http://www.ecohydmet.ge/

მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი
M. Nodia Institute of Geophysics

გეოფიზიკის ინსტიტუტი რეგულარულად ატარებს მნიშვნელოვან ექსპედიციებს მთელი საქართველოს მასშტაბით საინჟინრო, არქეოლოგიური და ეკოლოგიური საკითხების შესასწავლად.

ვებსაიტი: http://ig-geophysics.ge/

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტი
The Institute for Social and Cultural Research (ISCR)

ინსტიტუტის კვლევების ქრონოლოგიური სპექტრი ფართოა და მოიცავს საქართველოსა და კავკასიის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ პროცესებს შუა საუკუნეებიდან დღემდე. ინსტიტუტში მიმდინარე კვლევების უმრავლესობა განაწილებულია ოთხი წამყვანი კვლევითი ბირთვის ქვეშ: 1. პოლიტიკური თეოლოგია საქართველოში, 2. იმპერიული პარადიგმები, 3. საქართველოს რესპუბლიკები და 4. ინფრასტრუქტურები და ეკოლოგიები.

ვებსაიტი: https://soccult.iliauni.edu.ge/

ბიზნესის მხარდაჭერის ორგანიზაციები

საქართველოს ტურიზმის ასოციაცია
Georgian Tourism Association (GTA)

„საქართველოს ტურიზმის ასოციაცია“ (GTA) წარმოადგენს კერძო ტურისტული კომპანიების, სასტუმროების, საოჯახო სასტუმროების და ღვინის კომპანიების ორგანიზაციას. ორგანიზაცია ხელს უწყობს თანამშრომლობას ტურისტულ კომპანიებს და კერძო და საჯარო სექტორებს შორის, ისევე როგორც ტურიზმის მდგრად განვითარებას საქართველოში.

ვებსაიტი: https://www.tourism-association.ge/

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია
The Georgian Farmers' Association (GFA)

„საქართველოს ფერმერთა ასოციაცია“ (GFA) წარმოადგენს არასამეწარმეო არამომგებიან იურიდიულ პირს, რომელიც 2012 წელს დაფუძნდა. ორგანიზაცია ამჟამად 4000-მდე ფერმერს აერთიანებს მთელი საქართველოს მასშტაბით. ასოციაცია ასრულებს ფერმერებსა და ხელისუფლებას შორის შუამავალი რგოლის ფუნქციას.

ვებსაიტი: https://gfa.org.ge/

საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია
Georgian Small and Medium Enterprises Association – GSMEA

ასოციაციის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესების დაცვა, ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტული პირობების შექმნის ხელშეწყობა, ასევე მცირე და საშუალო ბიზნეს-სექტორის მხრიდან აქტიური კომუნიკაციის დამყარება სახელმწიფო სტრუქტურებთან, საფინანსო ინსტიტუტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ვებსაიტი: http://gsmea.ge/

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
Business Association of Georgia

Business Association of Georgia unites more than 600 large and medium businesses. The association's mission is to improve Georgia's business environment by uniting member companies, and close cooperation with the government, and international and national partners.

ვებსაიტი: https://bag.ge/

ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის პლატფორმა
European Economic Cooperation Platform in Georgia

ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის პლატფორმა (EECP) შეიქმნა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ევროპული ბიზნესის და ეკონომიკური ინტერესის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს, ევროპულ დიპლომატიურ საზოგადოებასა და პოლიტიკოსებს შორის დიალოგის ხელშეწყობისთვის. ორგანიზაცია მუშაობს ხელშემწყობი სოციალურ-ეკონომიკური ლანდშაფტის და არადემოკრატიული, გამჭვირვალე ბიზნეს გარემოს განვითარებისთვის საქართველოში, რაც მიმზიდველი იქნებოდა ინვესტორებისთვის.

ვებსაიტი: https://eecp.ge/

ევროპული ბიზნეს ასოციაცია
European Business Association (EBA)

„ევროპული ბიზნეს ასოციაცია“ წევრების მიერ მართული ორგანიზაციაა. მას ჰყავს ასზე მეტი წევრი, მათ შორის დიდი კომპანიები საბანკო, აუდიტორული, სადაზღვევო, ტურისტული, მომსახურების, სამართლის, სოფლის მეურნეობის, საინჟინრო, მრეწველობის და სამედიცინო სექტორებიდან.

ვებსაიტი: https://eba.ge/

საქართველოს მწარმოებელთა ფედერაცია
Georgian Producers' Federation

„საქართველოს მწარმოებელთა ფედერაცია“ საქართველოს თითქმის მთლიან ინდუსტრიულ სექტორს წარმოადგენს. ორგანიზაცია მონაწილეობს კანონპროექტების შემუშავებაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების და სხვა საკითხების შესახებ საქართველოს პარლამენტის დარგობრივ კომიტეტებთან ერთად.

Facebook: https://www.facebook.com/gpf.ge/

მეწარმე ქალთა საბჭო საქართველოში
The Women Business Council in Georgia (WBCG)

„მეწარმე ქალთა საბჭო საქართველოში“ (WBCG) წევრობაზე დაფუძნებული არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 2015 წელს შეიქმნა. საბჭოს მიზანია ქალი მეწარმეებისა და სტარტაპების გაერთიანება, მათთვის პირადი და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შეთავაზებისთვის განათლების, პროფესიული კავშირების ჩამოყალიბების და ადვოკატირების გზით.

ვებსაიტი: http://wbcg.ge/

ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია
Infrastructure Construction Companies Association/ICCA

„ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია“ სამშენებლო ბაზარზე მოქმედმა სამშენებლო კომპანიებმა დააარსეს. მისი წევრები არიან სამშენებლო ტექნიკის, ზედამხედველობის და პროექტირების სერვისების მიმწოდებელი კომპანიებიც.

ვებსაიტი: https://icca.ge/

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
The Biological Farming Association Elkana

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ ფერმერთა გაერთიანებაა და მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და გარემოს დაცვას სიცოცხლისუნარიანი (მდგრადი) ბიომეურნეობების განვითარებისა და სოფლად მოსახლეობის თვითაქტივობის გაზრდის გზით.

ვებსაიტი: https://elkana.org.ge/

ენერგეტიკისა და გარემოს ეროვნული ასოციაცია
National Association of Energy and Environment

„ენერგეტიკისა და გარემოს ეროვნული ასოციაცია“არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც მხარს უჭერს სუფთა და ხელმისაწვდომი ენერგიების განვითარებას საქართველოში.

ვებსაიტი: http://energyplatform.ge/

საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია
Georgian Ecotourism Association GEA

„საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია“ წევრობაზე დაფუძნებული არაკომერციული ორგანიზაციაა, რომლის მიზანი ეკოტურიზმის, როგორც ტურიზმის მდგრადი განვითარების საკვანძო ელემენტის მხარდაჭერაა.

ვებსაიტი: https://ecotourism.ge/

რეგიონული განვითარების ასოციაცია
Regional Development Association (RDA)

„რეგიონული განვითარების ასოციაცია“ არაკომერციული ორგანიზაციაა. ასოციაციაში სრულ განაკვეთზე დასაქმებული 40-მდე თანამშრომელი თბილისის ცენტრალურ ოფისში და ახალციხის (სამცხე-ჯავახეთი, მარნეულის და წალკის (ქვემო ქართლი) რეგიონულ ოფისებში მუშაობს.

ვებსაიტი: https://www.rda.org.ge/

რეგიონული ორგანიზაციები

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
Caucasus Environmental NGO Network CENN

CENN განვითარების რეგიონული ორგანიზაციაა, რომელიც სამხრეთ კავკასიის მასშტაბით გარემოს დაცვის მიმართულებით მუშაობს, მდგრადი განვითარებისა და მწვანე ზრდის ხელშეწყობის მიზნით. ის სპეციალიზდება მთელ რიგ სფეროებში, როგორებიცაა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლა, რესურსების მდგრადი მართვა, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, დემოკრატიისა და კარგი მმართველობის განმტკიცება.

ვებსაიტი: http://cenn.org/

კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი
The Regional Environmental Centre for the Caucasus (REC Caucasus)

„კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი“ (REC) დამოუკიდებელი, არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის შეიქმნა. ის ახორციელებს რამდენიმე პროექტს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის დახმარებით.

ვებსაიტი: https://rec-caucasus.org/

მდგრადი კავკასია
The Caucasus Network for Sustainable Development of Mountain Regions (Sustainable Caucasus)

„მდგრადი კავკასია“ მხარს უჭერს სხვადასხვა მხარეების თანამშრომლობასა და კოორდინაციას კავკასიის მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარებისთვის. ქსელი თანამშრომლობს ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ისევე როგორც კავკასიის მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარებით დაინტე-რესებულ სამეცნიერო წრეებთან.

ვებსაიტი: https://sd-caucasus.com/

კავკასიის ბუნების ფონდი (CNF)
Caucasus Nature Fund CNF

„კავკასიის ბუნების ფონდი“ (CNF) კონსერვაციის ნდობის ფონდია, რომელიც კავკასიის ეკორეგიონის დასაცავად შეიქმნა. ფონდი გასცემს გრანტებს და საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის დაცულ ტერიტორიებს უწევს დახმარებას მართვის მიმართულებით.

ვებსაიტი: http://caucasus-naturefund.org

სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი "ნაკრესი"
Centre for Biodiversity Conservation & Research NACRES

ცენტრის მისიაა ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვის, შენარჩუნებისა და აღდგენის ხელშეწყობა. ცენტრის საქმიანობა ეფუძნება სამეცნიერო კვლევებს და ხორციელდება საქართველოს რეგიონებში ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების წახალისების, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების და ბუნების დაცვით საქმიანობაში მათი ინტენსიური ჩართვის საშუალებით.

ვებსაიტი: http://nacres.org/

საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში

გაეროს საქართველოს ოფისი
The United Nations in Georgia

გაერო მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და სხვა ეროვნულ და საერთაშორისო პარტნიორებთან. გაეროს მხარდაჭერა მოიცავს მრავალ სფეროს, მათ შორის ეკონომიკურ კეთილდღეობას, ჯანმრთელობას, ადამიანის უფლებებს, განათლებას, სოფლის მეურნეობას, მრეწველობას, გარემოს დაცვას, გენდერულ თანასწორობას, კარგ მმართველობასა და კანონის უზენაესობას.

ვებსაიტი: https://georgia.un.org/

გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში
UNDP in Georgia

გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევაში ეხმარება. მისი საქმიანობის სფეროებია დემოკრატიული მმართველობა, ეკონომიკური განვითარება და გენდერული თანასწორობა. გაეროს განვითარების პროგრამის გარემოსა და ენერგეტიკის პროგრამა საქართველოს ეხმარება მწვანე ენერგიაზე წვდომის გაუმჯობესებაში.

ვებსაიტი: https://undp.org/ka/georgia

ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში
Delegation of the European Union to Georgia

ევროკავშირი მართავს 160-ზე მეტ მიმდინარე პროექტს საქართველოში, რომელთა ჯამური ღირებულება 500 მილიონ ევროს აღემატება. პარტნიორთა ფართო ქსელი მოიცავს სამოქალაქო საზოგადოებას, საერთაშორისო ორგანიზაციებს, კერძო კომპანიებს და საქართველოს მთავრობას, ისევე როგორც წევრი ქვეყნების მთავრობებს.

ვებსაიტი: https://eu4georgia.eu/ka/

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო საქართველოში
USAID in Georgia

USAID სტრატეგიულად თანამშრომლობს საქართველოსთან მისი მდგრადი განვითარების წინსვლისთვის, რათა ხელი შეუწყოს ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას და გარე მავნე ზეგავლენის მიმართ მედეგობას.

ვებსაიტი: https://usaid.gov/georgia

FAO-ს წარმომადგენლობა საქართველოში
Food and Agriculture Organization of the United Nations in Georgia (FAO)

FAO-ს მანდატია საქართველოში სასურსათო უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების ეროვნული მიზნების მხარდაჭერა. საქართველოში FAO ხელისუფლებას ინსტიტუციური, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ინსტრუმენტების შემუშავებასა და დანერგვაში ეხმარება.

ვებსაიტი: https://fao.org/georgia/

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისი - სამხრეთ კავკასიის რეგიონი
Heinrich Boell Foundation Tbilisi Office – South Caucasus Region

„ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი“ მწვანე ანალიტიკური ორგანიზაცია და საერთაშორისო პოლიტიკური ქსელია, რომელიც მხარს უჭერს გენდერულ თანასწორობას, დემოკრატიას და ადამიანის უფლებებს, სოციალურ და გარემოსდაცვით სამართლიანობას.

ვებსაიტი: https://ge.boell.org/

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)
The Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების თბილისის ოფისი მართავს რეგიონულ პროგრამებს, რომლებიც საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ხორციელდება ჩამოთვლილი პრიორიტეტული მიმართულებები: მდგრადი ეკონომიკური განვითარება, დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება და საჯარო მართვა, გარემოსდაცვითი პოლიტიკა, ბუნების კონსერვაცია და ბუნებრივი რესურსების მდგრადი ათვისება.

ვებსაიტი: https://giz.de/en/worldwide/359.html

ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო
Open Society Georgia Foundation (OSGF)

„ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო“ ცოცხალი და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების შესაქმნელად მუშაობს, რომელსაც შეეძლება სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა მოქალაქეების წინაშე. ფონდი წამყვან როლს ასრულებს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მსჯელობისა და რეფორმების განვითარებაში.

ვებსაიტი: https://osgf.ge/

ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდი
Westminster Foundation for Democracy (WFD)

„ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდი“ (WFD) ბრიტანეთის მთავრობის პროექტის „გარემოსდაცვითი დემოკრატიის განვითარება საქართველოში“ ერთადერთი განმახორციელებელია საქართველოში. პროექტი მიზნად ისახავს მყარი პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებას გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად.

ვებსაიტი: https://wfd.org/where-we-work/georgia

ბუნების მსოფლიო ფონდი
The World Wide Fund for Nature (WWF)

„ბუნების მსოფლიო ფონდი“ ბუნების დაცვის ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს ადამიანებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რათა შეიმუშაოს ინოვაციური გადაწყვეტები ადგილობრივი მოსახლეობების და ველური ბუნების დასაცავად იქ, სადაც ისინი ცხოვრობენ. საქართველოს ოფისი თბილისში „ბუნების მსოფლიო ფონდის“ კავკასიის რეგიონის ოფიციალური ოფისია, რომელიც ფარავს ფონდის საქმიანობას სამივე ქვეყანაში და ხელს უწყებს საერთაშორისო თანამშრომლობას ეკორეგიონის დონეზე.

ვებსაიტი: https://wwfcaucasus.org

ავსტრიის განვითარების სააგენტო
Austrian Development Agency (ADA)

„ავსტრიის განვითარების სააგენტო“ მიზნად ისახავს ეკონომიკური განვითარების და დემოკრატიზაციის მხარდაჭერას საქართველოში. საქართველოში სააგენტოს პრიორიტეტული მიმართულებებია სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა.

ვებსაიტი: https://entwicklung.at/en/countries/south-caucasus/georgia

საერთაშორისო მთავრობათაშორისი ორგანიზაციები და ხელშეკრულებები

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (UNFCCC)
United Nations Framework Convention on Climate Change (UNFCCC)

გაეროს ის ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციაზე და მასთან ასოცირებულ სხვა შეთანხმებებზე, როგორიცაა კიოტოს პროტოკოლი და პარიზის შეთანხმება. მისი სამდივნო გერმანიის ქალაქ ბონშია და მისი წევრია ფაქტობრივად ყველა ქვეყანა. ეს ორგანიზაცია აწყობს ყოველწლიურ კონფერენციას კლიმატის ცვლილების შესახებ („მხარეთა კონფერენცია“ ანუ, COP-ი), ისევე როგორც ბევრ სხვა ნაკლებად ცნობილ მოლაპარაკებას. კონვენციის ვებსაიტი შეიცავს ყველა მხარეთა კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების ოქმებს, ინფორმაციას მიმდინარე პროცესებსა და მომავალ შეხვედრებზე და სხვა მასალას. როგორც გაეროს ყველა სხვა ორგანიზაცია, კონვენციას მართავენ მისი წევრი სახელმწიფოები, და არა მისი სამდივნო.

ვებსაიტი: https://unfccc.int/

ყველა წევრ სახელმწიფოს ჰყავს წარმომადგენელი პასუხისმგებელი პირი. საქართველოში ეს ნინო თხილავაა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. სხვა პასუხისმგებელი პირების სია, საკონტაქტო ინფორმაციასთან ერთად, შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე.

კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი
Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC)

„კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი“ ქმნის ყველაზე მნიშვნელოვან შეფასებებს კლიმატის ცვლილების მეცნიერებასა და ეკონომიკაზე. ყოველ 6-7 წელიწადში ერთხელ ის აქვეყნებს შეფასების ანგარიშს, სადაც შეჯამებულია არსებული ცოდნა ოთხ ნაწილად: 1) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, 2) ზეგავლენა, მოწყვლადობა და ადაპტაცია, 3) შერბილება, და 4) სინთეზი. ამასთან, ის ამზადებს ანგარიშებს პანელის წევრი მთავრობების მიერ შერჩეულ თემებზე. ანგარიშებს ამზადებენ შერჩეული მეცნიერები, ეკონომისტები და სხვა ექსპერტები სხვადასხვა ქვეყნიდან.

ვებსაიტი: https://www.ipcc.ch/

საქართველოში პანელის წარმომადგენელია რამაზ ჭითანავა, გარემოს დაცვის სამინისტროს ბუნების ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტში.

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია (WMO)

World Meteorological Organization (WMO)

„მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია“ გაეროს სააგენტოა, რომელიც პასუხისმგებელია თანამშრომლობაზე ამინდისა და კლიმატის ცვლილების დარგებში, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების სამეცნიერო დაკვირვების უნარის და შესაძლებლობების ზრდის მიმართულებით. აწარმოებს ყოველწლიურ ანგარიშს გლობალურ ტემპერატურაზე.

ვებსაიტი: https://public.wmo.int/en

გაეროს კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (CBD)

United Nations Convention on Biological Diversity (CBD)

გაეროს კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ, როგორც კლიმატის კონვენცია, 1992 წელს, რიო დე ჟანეიროს დედამიწის სამიტზე შეთანხმდა. თითქმის ყველა სახელმწიფო მისი ხელმომწერია, თუმცა წევრი არ არის ამერიკის შეერთებული შტატები. კონფერენცია იმართება ორ წელიწადში ერთხელ და მას კრებს კანადაში, მონრეალში არსებული სამდივნო. კონვენციის მთავარი მიზანი „ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და მისი კომპონენტების მდგრადი გამოყენებაა, ისევე როგორც გენეტიკური რესურსებისგან მიღებული სარგებლის თანასწორი და სამართლიანი განაწილება.“

ვებსაიტი: https://www.cbd.int/

როგორც კლიმატის კონვენციის შემთხვევაში, ბიომრავალფეროვნების კონვენციასაც რამდენიმე მნიშვნელოვანი შეთანხმება ახლავს, როგორიცაა კარტახენას პროტოკოლი ბიოუსაფრთხოების შესახებ, ნაგოიას პროტოკოლი სარგებელზე წვდომისა და განაწილების შესახებ და კუნმინგ-მონრეალის გლობალური ბიომრავალფეროვნების ჩარჩო.

საქართველოში საკონტაქტო პირია ნონა ხელაია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. ყველა საკონტაქტო პირის საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ ბმულზე.

ქართული საერთაშრისო მეცნიერება - პოლიტიკა პლატფორმა ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების სერვისებზე

International Science-Policy Platform on Biodiversity and Ecosystem Services (IPBES)

ორგანიზაციას ხშირად ახასიათებენ, როგორც „ბიომრავალფეროვნების IPCC“ (იგულისხმება „კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი“) და ის 2012 წელს დაარსდა მტკიცებულებაზე დაფუძნებული ანგარიშების მომზადებისთვის ბუნების მდგომარეობის, საფრთხეებისა და რისკების, და მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობების შესახებ.

ვებსაიტი: https://ipbes.net/

როგორც IPCC, ანგარიშების მომზადებას წყვეტენ წევრი სახელმწიფოები. პირველი ანგარიში მომზადდა 2019 წელს.
საქართველოს მთავრობაში პასუხისმგებელი პირია ნონა ხელაია (იხილეთ ზემოთ).

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა

United Nations Environment Programme (UNEP, also known as UN Environment)

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა პასუხისმგებელია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ძალისხმევის კოორდინაციაზე გაეროს სისტემაში. მისი სათავო ოფისი მდებარეობს კენიაში, ქალაქ ნაირობიში. პროგრამის საქმიანობა და ბიუჯეტი განისაზღვრება წევრი სახელმწიფოების მიერ, გაეროს გარემოსდაცვით ასამბლეაზე, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება. პროგრამა ამზადებს საკვანძო ანგარიშებს, მათ შორის ანგარიშებს „ემისიების სხვაობის“ და „წარმოების სხვაობის“ (წიაღისეული საწვავის შესახებ) შესახებ, ისევე როგორც ანგარიშს გლობალური გარემოსდაცვითი მდგომარეობის შესახებ.

ვებსაიტი: https://www.unep.org/

პროგრამა ასრულებს სამდივნოს ფუნქციას არაერთი გლობალური და რეგიონული შეთანხმებისთვის გარემოს დაბინძურების, ბუნებრივი გარემოს და რადიაციის შესახებ.
გაეროს გარემოსდაცვით ასამბლეაში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი (ამჟამად ოთარ შამუგია) წარმოადგენს. პასუხისმგებელი პირია ნინო თხილავა. საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ ბმულზე.

გაეროს განვითარების პროგრამა
United Nations Development Programme (UNDP)

გაეროს განვითარების პროგრამის მიზანი მდგრადი განვითარების მხარდაჭერაა მთელს მსოფლიოში. ის აქტიურად მუშაობს მდგრადი განვითარების მიზნებზე. მისი საქმიანობა ეხება კლიმატის ცვლილებას ყოველთვის, როცა კლიმატი ზემოქმედებს განვითარებაზე - მაგალითად მაშინ, როცა საკითხი წყლის მიწოდებას, დაბინძურებასა და ჯანმრთელობას, ან საკვების უსაფრთხოებას ეხება.

ვებსაიტი: https://undp.org/

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი
International Union for the Conservation of Nature (IUCN)

კავშირის წევრები არიან როგორც სახელმწიფოები, ისე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. ის უფრო ძველია, ვიდრე გაერო, მაგრამ არ არის გაეროს სისტემის ნაწილი. მისი ყველაზე ცნობილი საქმიანობა „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების წითელი ნუსხის“ წარმოებაა. ის მუშაობს უამრავ ქვეყანაში, ბუნების დაცვის და ცხოვრების დონის და ეკონომიკური განვითარების გასაუმჯობესებლად. მისი სათავო ოფისი მდებარეობს შვეიცარიაში, ქალაქ გლანდში. ოთხ წელიწადში ერთხელ კავშირი ატარებს კონსერვაციის მსოფლიო კონგრესს, სადაც თავს იყრის უამრავი ამბავი ბუნების, კონსერვაციის და მათი მნიშვნელობის შესახებ. საქართველოში მისი წევრია „საბუკო.“

ვებსაიტი: https://iucn.org/

ორჰუსის კონვენცია
Aarhus Convention

ოფიციალურად მას ეწოდება „კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ და ის ძალაში შევიდა 1998 წელს, მეტწილად ევროპის ქვეყნებში. კონვენცია აწესებს ადამიანის უფლებას ჯანსაღ გარემოზე. ის ასევე შეიცავს ვალდებულებებს გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ღია წვდომის უზრუნველსაყოფად.

ვებსაიტი: https://unece.org/environment-policy/public-participation/aarhus-convention/introduction

საქართველოს მთავრობის საკონტაქტო პირია ნინო გოხელაშვილი, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. საკონტაქტო ინფორმაცია.

ბუქარესტის კონვენცია
Bucharest Convention

კონვენცია ძალაში შევიდა 1992 წელს და მისი წევრია შავი ზღვის აუზის ექვსი ქვეყანა. მისი პირველადი მიზანი რეგიონის დაბინძურებისგან დაცვა იყო. მას შემდეგ მისი მანდატი გაფართოვდა და დღეს ის გარკვეული სახეობების კონსერვაციასაც მოიცავს.

ვებსაიტი: https://ec.europa.eu/environment/marine/international-cooperation/regional-sea-conventions/bucharest/index_en.htm

კონვენცია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ
Convention on International Trade in Endangered Species

2023 წელს კონვენცია ორმოცდამეათე წლისთავს აღნიშნავს. როგორც მისი სახელი მიუთითებს, კონვენცია აწესრიგებს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობას. მსოფლიოს ფაქტობრივად ყველა ქვეყანა მისი წევრია. ასეთი სახეობების იმპორტი და ექსპორტი მოითხოვს შესაბამის ნებართვას და ქვეყანას შესაძლოა დაუწესდეს აკრძალვები თუ შესაბამის ზომებს არ მიიღებს ვაჭრობის პრევენციისთვის.

ვებსაიტი: https://cites.org/eng

საქართველოს გვერდი

ბერნის კონვენცია
Bern Convention

საერთაშორისო კონვენცია, რომელიც დაფუძნებულია ევროპაში. ბერნის კონვენციაზე ხელმომწერნი იღებენ ვალდებულებას „მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა“ გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი „ველური ფლორისა და ფაუნის ჰაბიტატის კონსერვაციისთვის.“

ვებსაიტი: https://coe.int/en/web/bern-convention/presentation

რამსარის კონვენცია
Ramsar Convention

გლობალური კონვენცია, რომელიც მიზნად ისახავს ჭარბტენიანი ტერიტორიების, როგორც ველური ბუნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რესურსის დაცვას. 1994 წლიდან, მას შემდეგ, რაც ის ძალაში შევიდა, მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ჭარბტენიანი ტერიტორიები ნახშირბად ინახავს, რაც მათ შენარჩუნებას კლიმატის ცვლილების შერბილების სტრატეგიის განუყოფელ ნაწილად აქცევს.

ვებსაიტი: https://ramsar.org/ საქართველოს გვერდი

აზიის განვითარების ბანკი
The Asian development bank (ADB)

„აზიის განვითარების ბანკი“ (ADB) ემსახურება მდიდარი, ინკლუზიური, მედეგი და მდგრადი აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის განვითარებას. ამასთან ის მუშაობს უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრისთვის რეგიონში.

ვებსაიტი: https://adb.org/ საქართველოს გვერდი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
The European Bank for Reconstruction and Development (EBRD)

„ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს“ ფლობს 71 ქვეყანა და ევროკავშირი.

ვებსაიტი: https://ebrd.com/

მსოფლიო ბანკი
The World Bank

„მსოფლიო ბანკის“ წევრია 189 ქვეყანა, მისი თანამშრომლები წარმოადგენენ 170 ქვეყანას და ბანკს აქვს 130-ზე მეტი ოფისი. ბანკი უნიკალურ გლობალურ თანამშრომლობას წარმოადგენს: მისი ნაწილია ხუთი ინსტიტუტი, რომლებიც განვითარებად ქვეყნების მდგრად განვითარებაზე, სიღარიბის შემცირებასა და საზიარო კეთილდღეობაზე მუშაობენ.

ვებსაიტი: https://worldbank.org/en/home

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები

კლიმატის ცვლილების ქმედების ქსელი (CAN-International)

Climate Action Network (CAN-International)

CAN გლობალური ქსელია, რომელიც ასობით გლობალურ, რეგიონულ, ეროვნულ და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. ის კოორდინაციას უწევს კამპანიებს გაეროს კლიმატური მოლაპარაკებებისა და სხვა საერთაშორისო პროცესების გარშემო. მასში შედის გლობალური და რეგიონული სამდივნოები - საქართველოს რეგიონული წერტილი აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონია (CAN-EECCA). ქსელის ვებსაიტი შეიცავს ბრიფინგებსა და პოზიციის დოკუმენტებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო საკითხების შესახებ.

ვებსაიტი: https://climatenetwork.org/

მდგრადი განვითარების მსოფლიო ბიზნეს საბჭო

World Business Council for Sustainable Development (WBCSD)

საბჭო წარმოადგენს მდგრადობის კუთხით მოწინავე კომპანიების გლობალურ ალიანსს. დაფუძნებულია შვეიცარიაშია და ფართოდაა წარმოდგენილი აზიაში. საბჭო ცდილობს დაარწმუნოს კომპანიები ყველა ბიზნეს სექტორიდან, რომ შეამცირონ ნახშირბადის ემისიები, დაიცვან ბუნება და გახდნენ უფრო მდგრადები და მათ ამაში დახმარებასაც სთავაზობს.

ვებსაიტი: https://wbcsd.org/

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

World Economic Forum (WEF)

ორგანიზაციის ყველაზე გახმაურებული ღონისძიებაა ყოველწლიური შეხვედრა შვეიცარიაში, დავოსში, რომელიც იანვარში იმართება. ფორუმი ცდილობს ხელი შეუწყოს ხიდების აშენებას კერძო და საჯარო სექტორებს შორის ისეთი სოციალურად სასურველი მიზნების მისაღწევად, როგორიცაა ბუნების დაცვა და კლიმატის ცვლილებასთან გამკლავება. ვებსაიტი შეიცავს ბიზნესისთვის რელევანტურ ბრიფინგებს კლიმატის ცვლილებასა და გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ.

ვებსაიტი: https://weforum.org/

ბუნების მსოფლიო ფონდი

WWF International

„ბუნების მსოფლიო ფონდი“ ერთ ერთი ყველაზე დიდი გლობალური გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს გარემოსდაცვითი კრიზისის ყველა ნაწილსა და მათ შესაძლო გადაწყვეტებზე. საქმიანობის სფერო მოიცავს ბუნებას და ბიომრავალფეროვნებას, კლიმატის ცვლილებას, ბუნებრივი რესურსების მართვას, დაბინძურებას, ტყისა და წყლის რესურსების მართვას. ფონდი აქტიურად მუშაობს ველზე და ქვეყნებს შიგნით, ველური ბუნების კონსერვაციისა და შესაძლებლობების გაძლიერებისთვის.

ვებსაიტი: https://wwf.panda.org/

გრინფისი
Greenpeace International

კიდევ ერთი წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც უფრო აქტივისტურია, ვიდრე „ბუნების მსოფლიო ფონდი“. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საქმიანობა ძირითადად წიაღისეულ საწვავს მიემართება. აქვს ოფისები რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში.

ვებსაიტი: https://greenpeace.org/international/

დედამიწის მეგობრები
Friends of the Earth International

„დედამიწის მეგობრები“ ადგილობრივი, ეროვნული და რეგიონული გარემოსდამცველი და მდგრად განვითარებაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების საერთაშორისო ქსელია. საქართველოში მასთან აფილირებული ორგანიზაციაა **„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა.“**

ვებსაიტი: https://foei.org/

მდინარეთა საერთაშორისო ქსელი
International Rivers Network

საერთაშორისო ქსელი, რომელიც ფოკუსირებულია მდინარეების ჭარბი ათვისებით გამოწვეულ სოციალურ და გარემოსდაცვით პრობლემებზე. წარსულში მხარი დაუჭერია მოძრაობებისთვის დიდი ჰიდროელექტროსადგურების წინააღმდეგ აზიაში, აფრიკაში და ლათინურ ამერიკაში.

ვებსაიტი: https://internationalrivers.org/